გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ გოგინაშვილის

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11 სხდომას (მორიგი - 10 , რიგგარეშე - 1) და მონაწილეობა მივიღე 225 საკითხის განხილვაში.

ვარ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიების წევრი.

დავესწარი სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 15 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 37 საკითხის განხილვაში.

ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის 13 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 87 საკითხის განხილვაში.

დავესწარი ერთობლივი კომისიების 2 სხდომას, სადაც განხილულ იქნა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი.

საკრებულოს უმრავლესობის 2 სხომას, განხილული იქნა - 31 საკითხი.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, რომლის ფარგლებშიც მთელი წლის პერიოდში ვესწრებოდი გასვლით საინფორმაციო და სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებს.

მთელი წლის მანძილზე სისტემატიურად ვხვდებოდი ამომრჩეველს, ვეცნობოდი მათ პრობლემებს და საჭიროებებს კერძოდ:

- გაკეთდა გორი-ვარიანის გზის განათება;
- ასევე მოწესრიგა ქალაქ გორში, ჭალის დასახლებაში კორპუსების ეზოები.
- 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისიწნებულია სოფელ ვარიანში იაკობ გოგებაშვილის სახლმუზეუმთან მისასვლელი გზის მოასფალტება.
- ასევე სოფელ ფხვენისში, ვარიანი შინდიში მოწესრიგდა სარწყავი სისტემები.

აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. ჩართული ვარ მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში მათ შორის: სამოქალაქო ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფში, სადაც აქტიურად ვიღებ მონაწილეობას ბიუჯეტის ფორმირებაში.

მთელი წლის წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები საკრებულოში მოსულ მოქალაქეებს სხვადასვა საკითხებთან დაკავშირებით.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" მუშაობაში. ჩართული ვარ მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში და პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ გოგინაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ. გორი **2024 წლის 29 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომერე: დავით რაზმაძე;

საკრებულოს წევრი: მიხეილ გოგინაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ვარიანის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა, და საკრებულოს აპარატის სპეციალისტი მანანა მაისურაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე;

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ გოგინაშვილის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მიხეილ გოგინაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მიხეილ გოგინაშვილს რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ

პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მიხეილ გოგინაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ვანო ბაბუციზემ და ანი გოზალიშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: დავით რაზმაძე;

საკრებულოს წევრი : მიხეილ გოგინაშვილი;